სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

10442596248522

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221493342

რეგისტრაციის თარიღი

01.11.2022 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე ძულიაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტალი, კორპ. 7, ბინა 1ა
ტელეფონი: 599589966

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

დღეს, ორიათას **ოცდაორი** წლის **პირველ ნოემბერს,** მე, საქართველოს ნოტარიუსს **ეკატერინე ძულიაშვილს** სანოტარო ბიუროში, მდებარე: **ქ. თბილისი, დიღმის მას. 3 კვ, კორპ. 7, ბინა 1ა-ში,** მომმართა მოქალაქე **კახაბერ თოდრიამ**, რომელმაც განაცხადა, რომ არის **შპს „აღმაშენებლის 51“-ის** დირექტორი და ითხოვა მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად **კახაბერ თოდრიამ** /დაბ. **15.02.1973** წელს, მის. **თბილისი, დიღმის მასივი, IV კვარტალი, კორპუსი 12, ბინა 74,** პ№ **01006005104**/ მომმართა.

შევამოწმე **კახაბერ თოდრიას** უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილად არის **შპს „აღმაშენებლის 51“-ის** დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B22024072**, ამონაწერის მომზადების თარიღი: **10.03.2022**, საიდენტიფიკაციო ნომერი: **402114056**.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არა მაქვს. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან თავადაც წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს:

მინდობილობა

მე, **შპს „აღმაშენებლის 51“-ის** დირექტორი **კახაბერ თოდრია** უფლებამოსილებას ვანიჭებ **დავით ვაშაკიძეს** /დაბ. **31.03.1972** წელს, პ№ **01024003923**/ წარმოადგინოს და დაიცვას ჩემი როგორც **შპს „აღმაშენებლის 51“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402114056)** დირექტორის ინტერესები ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, აწარმოოს **შპს „აღმაშენებლის 51“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402114056)** კუთვნილ უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდი **01.13.01.020.228** მშენებლობა, საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები, გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები და განსაზღვროს პირობები, აწარმოოს აშენების/ მშენებლობის ნებართვის აღების საქმეები, მიიღოს და შეათანხმოს საჭირო ნებართვები, უფლებამოსილია მოახდინოს ფართის დაზუსტება ან/და მონაცემებში ცვლილებების შეტანა, აწარმოოს აზომვითი, სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები, შეათანხმოს პროექტი, საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს მათში ცვლილებები და დამატებები, ელექტრონულად ატვირთოს და ხელზე მიიღოს ყველა სახის დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ჩემსა და მერიის არქიტექტურის სამსახურში ურთიერთობებს, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მონაცემთა დაზუსტება კოორდინატთა სისტემაში, შეიტანოს განცხადება აღნიშნულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერ ნებართვაზე (მათ შორის კანალიზაციის შიდა და გარე ქსელის, მილსადენის, ჭაბურღილის გადატანა, მონტაჟი, დემონტაჟი, ხეების, ბუჩქების მოჭრის და სხვა ნებისმიერი), უარის შემთხვევაში მოახდინოს მისი გასაჩივრება როგორც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ასევე სასამართლოს ყველა ინსტანციაში, გამოცხადდეს კომისიის სხდომაზე და დაიცვას **შპს „აღმაშენებლის 51“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402114056)** ინტერესები, უძრავი ქონების მონაცემებში უზუსტობის არსებობის შემთხვევაში მოახდინოს (შეიტანოს) მათში შესწორება/კორექტირება, აწარმოოს კომუნიკაციების (ელექტროენერგიის, გაზის (ბუნებრივი აირი), წყლის, შეყვანის საქმეები და ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებას/ შეთანხმებას.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შეაგროვოს, ჩააბაროს და გამოითხოვოს ყველა საჭირო ცნობები და მოწმობები, ინფორმაცია, ამონაწერი, ლიცენზია, ნებართვები, **შპს „აღმაშენებლის 51“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402114056)** სახელით დაწეროს საჭირო განცხადება ან/და მიმართვა, იყოს **შპს „აღმაშენებლის 51“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402114056)** წარმომადგენელი სანოტარო ბიუროში, მერიაში, მერიის არქიტექტურის სამსახურში, ქონების მართის სააგენტოში, გამგეობაში, საკრებულოში, არქიტექტურულ სამსახურში, საჯარო რეესტრში, იუსტიციის სახლში (მის დაქვემდებარებაში შემავალ ნებისმიერ სსიპ-ში), ადგილობრივი თვითმმართველოს ორგანოებში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, წყლის, გაზის, დასუფთავების, ინტერნეტის და ელექტროენერგიის კომპანიებში, და ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, ასევე შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან და ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, რაც საჭირო გახდება აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია **ორიათას ოცდასამი წლის პირველი ნოემბრის ჩათვლით.**

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ორი მიეცა **მიმნდობს.**

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის:

1. შპს **„აღმაშენებლის 51“-ის** ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B22024072**, ამონაწერის მომზადების თარიღი: **10.03.2022**;

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის **30.00** ლარი თანახმად **„სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“** საქართველოს მთავრობის **2011** წლის **29** დეკემბრის **№ 507** დადგენილების **31** მუხლისა + დღგ **5.40** ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის **166** მუხლისა + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური **5.00** ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის **2011** წლის **29** დეკემბრის **№ 507** დადგენილების **39** მუხლისა, სულ გადახდილია **40.40** ლარი.

შპს **„აღმაშენებლის 51“-ის** დირექტორი: _____

ნოტარიუსი: _____ /ეკატერინე ძულიაშვილი/



საქართველოს ბანკი
ბიზნესი

№ DC224773 "22" 09 2022

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

სს საქართველოს ბანკი (ს/კ 204378869) (შემდგომში - **ბანკი**) წარმოდგენილი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ **ბანკი**, როგორც იპოთეკარი, თანახმაა მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით № 01.13.01.020.228 (შემდგომში - **იპოთეკის საგანი**) (მესაკუთრე: შპს აღმაშენებლის 51, ს/ნ402114056) დაზუსტებული ფართობი: 4615 კვ.მ. მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 51) სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი AR1922353 და AR1874840 განაცხადების შესაბამისად გაიცეს მშენებლობის ნებართვა და მოხდეს პროექტის შეთანხმება. ამასთან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზემოაღნიშნულ **იპოთეკის საგანზე ბანკის** სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნებისმიერი/ყველა უფლება(ები) (მათ შორის, როგორც არსებული ისე სამომავლო) სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება. ამასთან, ასეთი უფლებები სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება მათ შორის იმ უძრავ ნივთებზეც, რომელიც **იპოთეკის საგანზე** ზემოაღნიშნული ნებართვის საფუძველზე განხორციელებული/განსახორციელებელი ცვლილების შედეგად წარმოიშობა/დარეგისტრირდება.

პატივისცემით,

ვალერი ნარსია

კორპორაციული საბანკო მომსახურების
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

44109711607522

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220536591

რეგისტრაციის თარიღი

11.05.2022 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 2238372

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

მე, ნოტარიუსი, ირმა შარვაძეს, სანოტარო ბიურო, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას #42-ში, მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად გაგარინის 29ა-ში, სადაც მომმართა **ზურაბ ქოქოსაძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ არის სს საქართველოს ბანკის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) გენერალური დირექტორის მოადგილე, რაც დასტურდება სს საქართველოს ბანკის ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (რომელიც ინახება ჩემს არქივში) და რწმუნებულებით, გაცემული სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის არჩილ გაჩეჩილაძის მიერ 05.05.2021 წ. დამოწმებული ნოტარიუს ირმა შარვაძის მიერ, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 210435854 (რომელიც ინახება ჩემს არქივში). **ზურაბ ქოქოსაძემ** მოითხოვა რწმუნებულების შედგენა **ვალერი ნარსიას** სახელზე და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **ზურაბ ქოქოსაძეს** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პასპორტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ზურაბ ქოქოსაძემ** (დაბადებული 25.11.1982 წ. ქ. სოხუმი, პირადი ნომერი: 62001032255, მცხოვრები თბილისი სამგორი III მასივი IX კვ. კორ. 2 ბ. 1) მომმართა, დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. აგრეთვე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ **ზურაბ ქოქოსაძემ** ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო ერთი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 10.00 ლარი, სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის 20.00 ლარი; დღგ 5,40 ლარი, რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29.12.2011 წ. N507 „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“) 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.

რწმუნებულება

„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე **ზურაბ ქოქოსაძე** (შემდგომში - მარწმუნებელი), **ვალერი ნარსიას** (პირადი ნომერი: 19001053836; შემდგომში - რწმუნებული), ვანიჭებ უფლებამოსილებას, რათა მან მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის) სახელით:

1. დადოს, გააფორმოს და ხელი მოაწეროს (მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით (მათ შორის ელექტრონული ხელმოწერით):
1.1. გენერალური საკრედიტო ხაზის, საკრედიტო ხაზის, საბანკო კრედიტის, ოვერდრაფტის და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები) 5,000,000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში;
1.2. საბანკო გარანტიის, დეპოზიტის, აკრედიტივის, სტენდბაი აკრედიტივის, დოკუმენტალური ინკასოს, ფაქტორინგის, ესქრო, სუბორდინაციის, ვალის გადაკისრების, მოთხოვნის დათმობის და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები) 1,000,000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში;
1.3. ინფორმაციის კონფიდენციალურობის ან/და საბანკო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);
1.4. იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ხელშეკრულებები ან/და ნებისმიერი სხვა სახის უზრუნველყოფის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);
2. წინამდებარე რწმუნებულების 1.1, 1.2, 1.3 და 1.4 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტ(ებ)ში/ხელშეკრულება(ებ)ში/შეთანხმება(ებ)ში/გარიგება(ებ)ში შესატანი ნებისმიერი სახის ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის (გარდა 1.1 და 1.2 ქვეპუნქტებში მოცემულ დოკუმენტ(ებ)ში/ხელშეკრულება(ები)ში/შეთანხმება(ები)ში/გარიგება(ები)ში თანხის ცვლილებისა, თუ აღნიშნული ცვლილებით გათვალისწინებული ნებისმიერი გარიგების თანხა გადააჭარბებს წინამდებარე რწმუნებულების 1.1. და 1.2 ქვეპუნქტებით განსაზღვრულ თანხობრივ ლიმიტს) შესახებ შეთანხმებ(ებ)ი ან/და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის განცხადება(ები)/წერილ(ებ)ი.
3. წინამდებარე რწმუნებულების 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში:
3.1. წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ მესამე პირთან, საჯარო ან/და კერძო ორგანიზაციებში/დაწესებულებებში, აგრეთვე სანოტარო ბიუროში;
3.2. ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჯარო ან/და კერძო პირისთვის წარსადგენ ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას/კორესპონდენციას/განცხადებ(ებ)ს/წერილ(ებ)ს, მათ შორის და არა მხოლოდ, მარწმუნებლის სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლების გაუქმების ან გაუქმების დაპირების წერილებს;

[illegible]რისტრაციო ორგანოებში/დაწესებულებებში სარეგისტრაციოდ წარადგინოს ნებისმიერი [illegible]ბის ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები)/განცხადება(ები)/ [illegible]ილ(ებ)ი/დოკუმენტაცია.

[illegible]უნებულება გაცემულია 2023 წლის 1 აპრილამდე.

[illegible]არწმუნებელი

ზურაბ ქოქოსაძე _____

ნოტარიუსი

ირმა შარვაძე _____

